ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ხელოვნებათმცოდნეობა / Art History and Theory

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი / PhD in Art History and Theory
სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა: ხელოვნებათმცოდნეობა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა სხირტლაძე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი კვლევით კომპონენტზე.

სწავლების ენა: ქართული ენა

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) პროგრამის მიზანი: თანამედროვე მსოფლიოში ინტერესი ხელოვნებათმცოდნეობისადმი მუდამ დიდი იყო, თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე იგი განსაკუთრებით გაიზარდა, რამდენადაც მხატვრული აზროვნების ზოგად ასპექტებთან ერთად მან სხვა უამრავი სფეროც მოიცვა. მსოფლიოს მრავალი სახელოვნებათმცოდნეო სკოლა კვლევის ინტერდისციპლინარულ მეთოდებს მიმართავს, რაც არა მხოლოდ ჰუმანიტარული, არამედ საბუნებისმეტყველო, სოციალური, ტექნიკური, და არაერთი სხვა დარგის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას გულისხმობს. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები საზოგადოების წარსულის, დღევანდელობისა და, რაც მთავარია, მომავალი განვითარების ყველა მეტ-ნაკლებად კარდინალური ასპექტისათვის უაღრესად აქტუალურია.
თბილისის უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის სწავლება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე დასავლური საუნივერსიტეტო განათლების პრაქტიკისა და გამოცდილების შესაბამისადაა აგებული. წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით ასევეა გათვალისწინებული სწავლება დოქტორანტურაშიც. ხელოვნებათმცოდნეობა ერთ-ერთია იმ პრიორიტეტულ მიმართულებათაგან, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. ამ ტენდენციის შემდგომი გაძლიერება გაფართოება უთუოდ შეუწყობს ხელს ერთი მხრივ საერთო პროცესებში საქართველოს თანამიმდევრულ და ყოველმხრივ გააზრებულ ინტეგრაციას, მეორე მხრივ კი ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის მთელი თავისი სიღრმითა და მრავლისმომცველობით შეცნობას, შენარჩუნებასა და წარმოჩენას.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო წიაღში ხელოვნებათმცოდნე მკვლევართა მომზადების მნიშვნელობა სავსებით ნათელია. ზოგადკულტურულთან ერთად მას ეროვნული იდენტობისათვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია - მიზანმიმართული კვლევები როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ისე თანამედროვეობის ასპექტებით მრავალმხრივ პასუხობს დღევანდელობის კარდინალური პრობლემებს.
დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალზე ფართოა **საკვლევი თემატიკა:** იგი მოიცავს როგორც ზოგადთეორიულ ასპექტებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, ისე კონკრეტულ და/ან შედარებით კვლევებს სხვადასხვა ეპოქისა და რეგიონის ძეგლებთან მიმართებით – უძველესი ხანიდან დაწყებული, თანამედროვე ეპოქის ჩათვლით. კვლევითი თემატიკა ასევე მრავლისმომცველია დარგობრივი თვალსაზრისითაც – არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებასთან ერთად აქ ერთიანდება როგორც თეატრისა და კინოს, ისე ხელოვნების თანამედროვე მიმართულებების პრობლემები.
წარმოდგენილი სადოქტორო **პროგრამის მიზანია** თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეობის სხვადასხვა სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას და დარგის ცალკეული დისციპლინის სწავლებას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში; დასაქმდებიან როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საშუალო ან სპეციალიზირებულ სკოლებში, სამუზეუმო, საგამოფენო, საარქივო, ტურისტულ ორგანიზაციებში, მედია სივრცეში, აგრეთვე ყველა იმ სფეროში, სადაც საჭიროა ხელოვნებათმცოდნის მაღალი კვალიფიკაცია.

ბ) პროგრამის შედეგები:
ხელოვნებათმცოდნეობაში დოქტორანტურის კურსის გავლის შედეგად მიღებული სამეცნიერო-კვლევითი უნარები, კვალიფიკაცია და კომპეტენცია კურსდამთავრებულებს შესაძლებლობას მისცემს დამოუკიდებლად წარმართოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო, აგრეთვე გაუძღვეს სალექციო კურსებს როგორც არჩეული სპეციალობით, ისე ბევრად უფრო ფართო ასპექტით.

ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ფართო და ღრმა განათლება და პროფესიული ცოდნა მსოფლიოხელოვნების მასშტაბით, ამასთანავე ექნება უნარი, პრაქტიკულად გამოიყენოს სამწლიანი მომზადების პროცესში დაგროვილი ცოდნა, კრიტიკულად გააანალიზოს სხვადასხვა ხასიათის ფაქტობრივი მონაცემები, მეთოდოლოგიის სწორი შერჩევით შემოქმედებითად განავითაროს იგი, პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამეცნიერო ინფორმაციის დამუშავებასა და გავრცელებას პუბლიკაციების, სწავლებისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

ცოდნა და გაცნობიერება

- დოქტორანტი ავლენს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის განვითარების ისტორიის მაღალკვალიფიციურ ცოდნას და ამ მიმართულებით მსოფლიო ხელოვნების სფეროში არსებული გამოცდილების, სპეციფიკური ამოცანებისა და მეთოდოლოგიის პრინციპების ფართო და ღრმა ცოდნას;

- დოქტორანტი კარგად იცნობს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკას, მისი შეფასების კრიტერიუმების თავისებურებებს, კრიტიკულად აანალიზებს განსხვავებულ ფაქტობრივ მონაცემებს და ღრმად აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ცოდნის გავრცელებისა და დარგის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების საქმეში სწორად შერჩეული მეთოდიკისა და ინსტრუმენტალისტური მიდგომის მეშვეობით;
- დოქტორანტი ღრმად აცნობიერებს მხატვრული შემოქმედების თავისებურებების გაცნობიერება-წარმოჩენის მნიშვნელობას წარსულისა და თანამედროვეობის შემოქმედებითი ასპექტების კომპლექსური კვლევისათვის, რაც უშუალო დუკავშირდება ქვეყნის კულტურის კვლევას, პოპულარიზაციას და შემდგომ განვითარებას.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი სიღრმისეულად ფლობს დარგში შემუშავებულ თეორიულ და კვლევით მეთოდებს. იცის დარგის განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, ძირითადი და უახლესი კონცეფციები; არჩეული სპეციალობის შესაბამისად შეუძლია ახალი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება. შეუძლია დარგის კვლევის მეთოდების და გამოყენებითი ასპექტების აქტუალიზება.

აქვს მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა მის მიერ არჩეულ დარგში, რაც შესაძლებლობას აძლევს, მუშაობა წარმართოს საერთაშორისო სტანდარტის დონეზე, ობიექტური და ახლებური ხედვის საფუძველზე გადააფასოს არსებული ცოდნისა და ღირებულებების გარკვეული ნაწილი. მას შეუძლია იმ ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; აცნობიერებს საკვლევად აჩეული დარგის ადგილს თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნის სისტემაში და მის ურთიერთკავშირს სხვა ჰუმანიტარული დარგის მეცნიერებებთან.

კურსდამთავრებულს შეუძლია დარგობრივი სამეცნიერო ტიპის ტექსტების შექმნა და შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გაფორმება და არგუმენტირება აკადემიური ფორმით; სხვების პოზიციის შეფასება/განხილვა კორექტული სახით; წერის დროს ადეკვატური ლექსიკისა და ენობრივი სტილის გამოყენება. აქვს სამეცნიერო ჯგუფის ლიდერისათვის საჭირო ჩვევები. იცნობს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების ხელშემწყობი ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის პრინციპს და საგრანტო პროექტების, სამეცნიერო პუბლიკაციების შედგენის საკვანძო მომენტებს. ფლობს საგანმანათლებლო ტექნოლოგიების საშუალებით სწავლების პროცესის წარმართვის უნარს და ელექტრონული სწავლების საფუძვლებს. მონაწილეობს ელექტრონული სწავლებისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში. კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერების მის მიზნებსა და შედეგებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები

- ხელოვნებათმცოდნეობის მეთოდოლოგიის ცოდნასთან ერთად, დოქტორანტი კარგად იცნობს უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის სპეციფიკას და ფლობს შესაბამის მეთოდიკას;
- დოქტორანტს შეუძლია შექმნას მაღალკვალიფიციური გამოკვლევები მსოფლიო და ქართული ხელოვნების ძირითადი ტენდენციებისა და მიმართულებების სწორად გაანალიზების საფუძველზე;
- ხელოვნების სფეროში პუბლიკაციების მომზადების გარდა, დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს და მონაწილეობა მიიღოს სამუზეუმო, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის დაგეგმარების საკითხებში, მედია-პროექტების, საგამოფენო-საექსპოზიციო, აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის პრეზენტაციების, აქციების ორგანიზებასა და განხორციელებაში;
- დოქტორანტს გააჩნია მუზეუმის სპეციფიკისა და კოლექციების ტიპის გათვალისწინებით სხვადასხვა ხასიათის მუდმივი და დროებითი (შემეცნებითი, თემატური, სისტემური, ინტერაქტიული, გამოყენებითი და სხვა) გამოფენების კონცეფციისა და პროექტის შემუშავების, განხორციელებისა და ხელმძღვანელობის უნარი; აგრეთვე საზოგადოების ყველა სოციალური, ეთნიკური და ასაკობრივი ჯგუფისათვის სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების შექმნის უნარი;
- დოქტორანტს შეუძლია განახორციელოს ხელოვნების ნაწარმოებისა და სამუზეუმო კოლექციის მრავალმხრივი და მაღალკვალიფიციური ექსპერტიზა;

- ხელოვნებამცოდნეობის დოქტორს შეუძლია იპოვოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზები, მას შეუძლია შეიმუშავოს ახლებული კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები, მიდგომები, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. შეუძლია დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებით. შექმნას მეცნიერული ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები; შეძენილი ცოდნა და კომპეტენციები წარმატებით გამოიყენოს პრაქტიკაში, სამეცნიერო დაწესებულებასა თუ უნივერსიტეტში მუშაობისას. შეუძლია დარგის მეტაენით ოპერირება და წარმატებული სამეცნიერო თანამშრომლობა მომიჯნავე ჰუმანიტარული დარგების წარმომადგენლებთან; შეუძლია გააანალიზოს და კრიტიკულად შეაფასოს როგორც თავისი, ასევე სხვათა სამეცნიერო საქმიანობის შედეგები; შეუძლია არა მარტო შეიძინოს და დააგროვოს ცოდნა, არამედ სხვებსაც გადასცეს იგი; შეუძლია კვალიფიციურად მოამზადოს ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ცალკეული დისციპლინის სასწავლო-მეთოდური მასალები; შეუძლია დარგისა და მის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებში მიღებული სამეცნიერო საქმიანობის შედეგების პროფესიული კომენტირება და განზოგადება.

- კურსდამთავრებულს აქვს აკადემიურ გარემოში საჭირო ტექსტების (სამეცნიერო ნაშრომი, რეცენზია და სხვ.) შექმნის, მათი შეფასებისა და პრეზენტაციის უნარი. შეუძლია ელექტრონული სწავლების საფუძვლების, მეთოდოლოგიის, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის კვლევა/სწავლებაში დანერგვა. შეუძლია სამეცნიერო კვლევების შეფასება და კვლევის შედეგების სხვადასხვა ტიპის აუდიტორიასთან სათანადოდ წარმოჩინა, სხვადასხვა მიმართულების სამეცნიერო პროექტების შემუშავება ან/და დახვეწა

პოტენციური პარტნიორებისა და დონორებისათვის მიმზიდველი ფორმის მისაცემად. შეუძლია სილაბუსის და საგანმანათლებლო პროგრამის (კურიკულუმის) შემუშავება და შეფასება ბოლონიის პროცესის, ევროპული სტანდარტების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით; შეუძლია სწავლების თანამედროვე სტრატეგიების პრაქტიკულად განხორციელება, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მთავარი პრინციპებისა და კომპონენტების სასწავლო პროცესში დანერგვა; სწავლების ინტერაქტიური მეთოდების წარმატებით გამოყენება; შეუძლია შეადგინოს სასწავლო-საგანმანათლებლო და კულტურულ-აღმზრდელობითი პროგრამები/ პროექტები და სხვ.

დასკვნის უნარი

- ანალიზისა და შეფასების უნარი ხელოვნებათმცოდნეობის სფეროსთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხებისა და პრობლემების გადაწყვეტად;
- ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი. მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- იდეისადმი შემოქმედებითი მიდგომისა და აქტივობის სინთეზი კვლევის, სამხატვრო გამოფენებისა და საგანმანათლებლო პროექტების შემუშავების, პრაქტიკულად განხორციელებისა და პრეზენტაციის პროცესში;

კომუნიკაციის უნარი

- ინტერპერსონალური ურთიერთობების დამყარებისა და ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობის უნარი;
- სხვადასხვა სახის სამეცნიერო, საგამოფენო და საგანმანათლებლო პროექტების შექმნის უნარი ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო მასშტაბით.
- ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; სიტუაციაში ადაპტაციისა და საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოზიდვისათვის პროექტის შემუშავებისა და მართვის უნარი.

სწავლის უნარი

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში;

- დროის სწორად ორგანიზების უნარი სასწავლო პროგრამის ათვისებისა და კონკრეტული პროექტების შემუშავების პროცესში, რამაც სამომავლოდ, უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის შესაბამისი პროდუქტი–დოქტორანტის შემოქმედებითი აქტივობა სწორად გათვლილი და გაწერილი ეტაპების თანახმად.
- ინტერნეტ-რესურსების გამოყენება;
- Power-point-ში მუშაობის უნარი, სამეცნიეროკონფერენციების, გამოფენების, საგანმანათლებლო პროექტების და სხვადასხვა ხასიათის აქციების პრეზენტაციის პროცესში;
- აუდიო და ფოტოტექნოლოგიების გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების, საგამოფენო და სხვა პროექტების შექმნისა და პრეზენტაციის პროცესში.
- ზეპირი, წერილობითი და ვიზუალური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე;

ღირებულებები

- ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

<u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>

სადოქტორო პროგრამა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების, სემინარებისა და კოლოკვიუმების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობებით ხელს უწყობს და აუმჯობესებს სწავლისა და კვლევის შედეგების მიღწევის გზებს. აღნიშნულ აქტივობებში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ვერბალური, პრაქტიკული, წიგნზე და მასალაზე მუშაობის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიის, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზის მეთოდები, ჯგუფური მუშაობა და სხვ.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსების შემთვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50–ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც ხელმძღვანელის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევით კომპონენტი:

დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო რეცენზირებისათვის წარდგენილი სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად შესწავლა, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად თუ არის ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა). მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

დისერტაციის შეფასება

სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი)- შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი)- – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი)- შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტს შესაძლებლობა ექნება, იმუშაოს როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, საშუალო ან სპეციალიზირებულ სკოლებში, სამუზეუმო, საგამოფენო, საარქივო, ტურისტულ ორგანიზაციებში, მედია სივრცეში, აგრეთვე ყველა იმ სფეროში, სადაც საჭიროა ხელოვნებათმცოდნის მაღალი კვალიფიკაცია. ამასთანავე როგორც ექსპერტი, იგი შეიძლება დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში. მისი კომპეტენციის სპექტრი შეიძლება მოიცავდეს მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა სფეროს, სახელმწიფო პოლიტიკას ამ სფეროებში, მედიაპოლიტიკას კულტურასა და, კერძოდ, ხელოვნებაში, თანამედროვე საზოგადოებაში მხატვრული მემკვიდრეობის კვლევასთან და მართვასთან დაკავშირებული სტრატეგიული პრობლემების დამუშავებისას.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- სადოქტორო პროგრამაზე სწავლის მსურველს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ხელოვნებათმცოდნეობაში, სახვით, თეატრალურ, კონოხელოვნებაში, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, კულტურის კვლევებში, სოციალურ მეცნიერებებში, განათლების მეცნიერებებში, არქიტექტურაში, რესტავრაციაში, ხელოვნების მენეჯმენტში, რეგიონმცოდნეობაში;
- სამუშაო გამოცდილება სავალდებულო არ არის
- დოქტორანტურაში სწავლის მსურველს მოეთხოვება უცხო ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული ცოდნა (B2 დონე)
- გასაუბრება სპეციალობაში
- პროგრამის ხელმძღვანელთა რეკომენდაცია (საფუძველი, სამეცნიერო ნაშრომის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე განხილვის შედეგი).

განსაკუთრებული წინაპირობა:
ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს მოეთხოვება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში წარმოადგინოს **CV** და ორი გვერდის მოცულობის **სამოტივაციო წერილი,** რომელშიც განსაზღვრავენ თავისი ინტერესების სფეროებს და სამეცნიერო მიზნებს, და განმარტავენ, რატომ უნდათ ხელოვნებათმცოდნეობის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება. მას ასევე ევალება ხელოვნებათმცოდნეობის დარგის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა.

სამეცნიერო ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეცემა ორ პროფესორს. დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველმა ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე უნდა წარმოადგინოს სამეცნიერო ნაშრომი, ნაშრომის საჯარო განხილვის შედეგები გახდება ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველი.

1) **ნაშრომის ძირითადი კორპუსი.** ნაშრომში დასმული პრობლემა არ არის აუცილებელი, რომ ორიგინალური და ახალი იყოს. **ამ თვალსაზრისით, ნაშრომი შეიძლება ატარებდეს ნაწილობრივ რეფერატულ ხასიათს.** მაგრამ ამავდროულად, ნაშრომის ავტორმა უნდა გამოავლინოს არა მხოლოდ ტექსტისა და მეორადი ლიტერატურის ცოდნა, არამედ ტექსტში გამჭვირვალედ უნდა ჩანდეს საკუთრივ მისეული მსჯელობა და პრობლემისადმი დამოკიდებულება. ნათელი უნდა იყოს, სად არის საკუთრივ ავტორის აზრი და სად მიმართავს ის მეორად ლიტერატურას. ნაშრომი არ უნდა წარმოადგენდეს პირველადი წყაროდან თუ მეორადი ლიტერატურიდან ამოკრებილი მასალის მექანიკურ კომპილაციას. **ამ თვალსაზრისით, ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს.** პირველწყაროსა და მეორადი ლიტერატურის გამოყენება უნდა მოხდეს მათი აზრიანი, პრობლემის გადაწყვეტის საჭიროებიდან გამომდინარე თანმიმდევრული მსჯელობით, ნაშრომში **ყველგან** უნდა ჩანდეს, რომელი ტექსტის თუ გამოკვლევის საფუძველზე გამოთქვამს ავტორი საკუთარ მოსაზრებას.. შესაბამისად, სქოლიოებში ყველგან უნდა აისახოს გამოყენებული ლიტერატურა (პირველად ვრცლად, მეორედ შემოკლებულად), გვერდების ზუსტი მითითებით (ბიბლიისა და კლასიკური ტექსტების მითითებისას გამოიყენება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მიღებული პაგინაცია). თარგმანის გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად უნდა მიეთითოს

მთარგმნელი. ნაშრომში დასმული პრობლემა უნდა განხილული იყოს პირველადი წყაროს (შესაძლებელია ორიგინალის ენაზე ან თარგმანში, მინიმუმ ერთი ერთეული) საფუძველზე და არანაკლებ ორი ერთეულის ოდენობით მეორადი ლიტერატურის გამოყენებით.

2) დასკვნა. ნაშრომს ბოლოში უნდა დაერთოს დასკვნა, ერთი გვერდის მოცულობით, სადაც ავტორი მოკლედ შეაჯამებს თავის ნაშრომს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში უნდა ჩანდეს, როგორ სცემს ავტორი პასუხს მის მიერვე დასმულ კითხვას

3) მითითებული ლიტერატურის სია სრული სახით (ავტორი, სახელწოდება, გამოცემის ადგილი, წელი).

4) ნაშრომის მოცულობა განისაზღვრება შემდეგი სტანდარტით: A4 ფორმატის მინიმუმ 20 მაქსიმუმ 25 გვერდი, აკრეფისას გამოიყენეთ ფონტები: Sylfaen, ინტერვალი-1,5.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სტუდენტთა განკარგულებაშია ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის დარგობრივი ბიბლიოთეკა თავისი სამკითხველო დარბაზით, კომპიუტერული ტექნიკა (კომპიუტერი, სკანერი, კომპიუტერული პროექტორი). წიგნადი ფონდი ახლო მომავალში შეიძლება შეივსოს უნივერისტეტის საპატიო დოქტორის, ვახტანგ ჯობაძის პირადი ბიბლიოთეკით, რომელიც მისი სურვილის თანახმად, უნდა გადმოეცეს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას.

დოქტორანტების რაოდენობა:
ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 7 დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული პროფესორები ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტიდან:
ზაზა სხირტლაძე – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის პროფესორი,
ნათელა ჯაბუა – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,
ირინე კოშორიძე _ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,
ნინო სილაგაძე – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,
მაია ციციშვილი – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,
ირინა მირიჯანაშვილი – ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი,
გოგი ხოშტარია – მოწვეული პროფესორი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

ა) სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)

სავალდებულო კურსები / აქტივობები– 30-35 კრედიტი (ECTS)						
	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	სემესტრი	ლექტორი/ები
1	სწავლების მეთოდები	5	63 სთ. ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	62 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ეთერ ღვინერია
2	მეცნიერების მენეჯმენტი	5	48 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	გიორგი ღვედაშვილი, თამარ გოგუა
3	დოქტორანტის სემინარი	15			შემოდგომა/ გაზაფხული	
4	პროფესორის ასისტენტობა	5			შემოდგომა/ გაზაფხული	
5	აკადემიური წერა	5	48 საათი. ლექცია –15, პრაქტიკუმი –30 საათი. გამოცდის ჩატარება – 3 საათი.	77 საათი	შემოდგომა/ გაზაფხული	ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი

არჩევითი კურსები / აქტივობები– 25 კრედიტი (ECTS)						
1	ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები	**10**	63 სთ. ლექცია – 30 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 30 სთ. სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	187 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	თამაზ გამყრელიძე
2	ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებ კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	**5/10**	36 სთ. ლექცია – პრაქტიკუმი 30 სთ. გამოცდის 6 საათი.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	შოთა ბარბაქაძე
3	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	**10**	36 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 15 სთ. საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ირინე დარჩია
4	დოქტორანტის სემინარი	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
5	პროფესორის ასისტენტობა	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
6	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	**5–25**			შემოდგომა/ გაზაფხული	
7	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	**5–15**			შემოდგომა/ გაზაფხული	

8	უნივრსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები	**5–30**			შემოდგომა/ გაზაფხული	
9	სხვა სახის აქტივობა	**5–10**			შემოდგომა/ გაზაფხული	

ბ) კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)

სავალდებულო – 120 კრედიტი (ECTS)			
	აქტივობის სახე	**კრედიტების რაოდენობა**	**სემესტრი**
1	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული
2	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული
3	სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა	80 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული